ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7032243

ნომერი: AR11035181

თარიღი : 15.05.2024

გაცემის თარიღი : 22.05.2024

გაცნობის თარიღი : 21.04.2025

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ზურაბ პატარიძის ქუჩა N5;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გოგა გურამიშვილი პ/ნ 01005026555
- ვაზისუბანი მე3 მკრ მე2 კვ. პატარიძის ქ.19

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 15/05/2024 # AR11035181 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ # 01.17.07.024.008 მიწის ნაკვეთზე პირველი კლასის მაღაზიის განთავსებას.
პასუხად გაცნობებთ, რომ დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის-რუკის მიხედვით ნაკვეთზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1(სსზ-1). 2016 წლის 24 მაისის #14–39 დადგენილების მე-16 მუხლის გათვალისწინებით აღნიშნული მიწის ნაკვეთი ვერ აკმაყოფილებს საცხოვრებელი ზონისთვის განსაზღვრულ მინიმალურ პარამეტრებს (მინიმალურ სიღრმეს). გარდა ამისა, ნაკვეთზე არ არის დაცული მინიმალური სავალდებულო გამწვანების კოეფიციენტი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას ამ ეტაპზე დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.